დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესი

1. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება გულისხმობს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების აკადემიური და სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის და მასწავლებლების (შემდგომში - „პერსონალი“) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი, სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას.
2. უნივერსიტეტის პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი პერსონალის შეფასების წესით განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშების და მათში წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.
3. უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის სხვადასხვა ფორმა, ან შეფასების პროცესში ჩართულ იქნან უცხოელი შემფასებლები ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საბჭოების გადაწყვეტილებით.
4. უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტი თვითშეფასების კითხვარს ელექტრონული სახით უგზავნის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კითხვარების გავრცელებას და შევსებული კითხვარების დაბრუნებას დადგენილ ვადებში.
5. თვითშეფასების კითხვარებში წარმოდგენილი უნდა იყოს განვლილი კალენდარული წლის ინფორმაცია.
6. პერსონალის თვითშეფასების შედეგებს განიხილავენ და აფასებენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საბჭოები და სამეცნიერო საბჭოები და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენენ სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშს, მის ანალიზს და სამოქმედო გეგმას სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით - ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო/შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიშის და სამოქმედო გეგმების ანალიზის საფუძველზე აკადემიურ საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.